



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
**სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
 უნივერსიტეტი**



Legal Entity Public Law
SAMTSKHE –JAVAKHETI STATE UNIVERSITY
აკადემიური საბჭო ACADEMIC COUNCIL

ოქმი № 1 „ 4 „ 03 2020

დადგენილება № 3

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიულ პროგრამებზე საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეულ პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომის ანაზღაურების გაზრდის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტისა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებისა და 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 63-ე მუხლის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24 მუხლის, „პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის N244 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 09 იანვრის N16 დადგენილების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის #52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტისა და აკადემიური საბჭოს 2013 წლის 2 ოქტომბრის N51 დადგენილებით დამტკიცებული სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის თანახმად, აკადემიური საბჭო ადგენს:

1. სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიულ პროგრამებზე საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეულ პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომის ანაზღაურება განისაზღვროს 15 ლარის ოდენობით.
2. დადგენილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ოდენობით შრომითი ანაზღაურების გაზრდა გავრცელდეს 2020 წლის 01 იანვრიდან განხორციელებულ შრომით ურთიერთობებზე.
3. დადგენილება დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს.
4. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. დადგენილება განთავსდეს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე: ქ.ახალციხე კ.მებაღიშვილის ქ. N62.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
 რექტორი, ასოცირებული პროფესორი

მაკა ბერიძე